სოციალური ინოვაციები იურიდიულ სფეროში

სოციალური ინოვაცია ნელ-ნელა უფრო და უფრო პოპულარული ხდება. იგი ეფუძნება სოციალური სამართლიანობის იდეას, რომელიც საზოგადოებრივი პრობლემების მეტად სამართლიან, უფრო ეფექტიან და ეფექტურ გზას გულისხმობს. ეს არის პრობლემის გადაწყვეტის ახლებური მიდგომა, რომელსაც მოჰყვება სოციალურ ღირებულების შექმნა. Phills, Deiglmeier და Miller (2008) სოციალურ ღირებულებას განმარტავენ, როგორც საზოგადოებისთვის სარგებლის შექმნას ან/და ხარჯების შემცირებას - სოციალური საჭიროებებისა და პრობლემების გადაჭრის მცდელობის გზით. ალბათ, როდესაც სოციალურ ინოვაციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ისეთი პროგრამები გვახსენდება, რომლებიც რომელიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა ჯგუფის ან/და კონკრეტული თემის საჭიროებებზე რეაგირებისათვისაა შექმნილი. თუმცა ნაკლებად თუ დავაკავშირებთ სოციალურ სამართლიანობასა და იურიდიულ სფეროს ერთმანეთთან. ეს ალბათ იქიდან გამომდინარეობს, რომ სოციალური ინოვაცია ღიაობასა და ნოვატორობას მოითხოვს, რაც მართლმსაჯულების სფეროს ნაკლებად შეესაბამება. მიუხედავად ამისა, სოციალურ ინოვაციებს აქვთ პოტენციალი იურიდიულ სფეროში მრავალი პრობლემა ბევრად ნაკლები ხარჯებითა და მეტად ეფექტური გზებით მოაგვარონ. მაგალითისთვის, მათ აქვთ პოტენციალი ციფრული პროდუქტების მეშვეობით გაზარდონ იურიდიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომა და შეამცირონ ხარჯები, რაც მისი მიღების საშუალებას დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის წარმომადგენლებსაც მისცემთ. ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოში აქცენტი სადამსჯელო ღონისძიებებიდან სულ უფრო მეტად გადადის დანაშაულის პრევენციაზე. შესაბამისად, სოციალური ინოვაცია გვევლინება დანაშაულის პრევენციისა და ხელახალი დანაშაულის ჩადენის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად. უკვე ნათელია, რომ აღნიშნული ბლოგიც, სწორედ იმ სოციალურ ინოვაციებს ეძღვნებათ, რომლებიც მართლმსაჯულების სფეროში გვხვდება.

სანამ უშუალოდ ინოვაციების განხილვას დავიწყებდეთ, მნიშნელოვანია იმის ანალიზი თუ რა ხდის მას მდგრადს. როგორც ითქვა, ინოვაციებს აქვთ პოტენციალი გაიზარდონ, გახდნენ სტაბილურნი და მიაღწიონ მდგრადობას. ამის საშუალებას კი მათ ძლიერი გუნდი და ბიზნეს მოდელი აძლევთ, რომლებიც ფინანსურ მდგრადობასა და ბაზრის ათვისებას უზრუნველყოფენ. თუმცა ამ პოტენციალის გამოყენებას სტრუქტურული ბარიერების ფართო სპექტრი სდევს თან. ეს შეიძლება იყოს ორგანიზაციული შესაძლებლობები, ფინანსური რესურსები თუ ორგანიზაციული ან/და საზოგადოებრივი კულტურა. საჯარო სექტორის შემთხვევაში ეს ბარიერები კიდევ უფრო ძნელად დაძლევადი ხდება, რადგან შეიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორი ერთადერთია, რომლის მიერ შემუშავებული სოციალური ინოვაცია ყველაზე ნაკლებადაა ფინანსური სტაბილურობისაკენ მიმართული. სიახლე არ იქნება თუ აქვე აღვნიშნავთ, რომ სოციალური ინოვაცია არაა დაცლილი ეკონომიკური ასპექტებისაგან, რადგან სწორედ ეს ასპექტი ანიჭებს მას მდგრადობას. თუმცა საჯარო სექტორის შემთხვევაში შემოსავლის არსებობა სტაბილურობის განმაპირობებელი ფაქტორი ნაკლებადაა, რადგან სოციალური ხასიათის პროგრამები, მათ შორის ინოვაციები, ბიუჯეტიდან ფინანსდება. სოციალური ინოვაციების დანერგვა კიდევ უფრო რთული ხდება მართლმსაჯულების სფეროში. მიზეზი ძალიან მარტივია - მართლმსაჯულების ორგანიზაციები მეტად ინსტიტუციონალიზებულნი არიან საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე და ცდილობენ სტატუს ქვოს შენარჩუნებას, რაც ინოვაციებისთვის ნაკლებად ღიას ხდის მათ. ჩაკეტილი ბუნება ინოვაციების განხორციელების პროცესს ანელებს და ართულებს, რის გამოც ხშირია კრიტიკა მართლმსაჯულების საქმიანობის მიმართ. მისი სირთულე განაპირობებს იმასაც, რომ სოციალური ინოვაციების დანერგვას მეტი ძალისხმევა სჭირდება. ამავე დროს, აკადემიური ლიტერატურა აჩვენებს, რომ რაც უფრო მეტ ცვლილებას საჭიროებს სოციალური ინოვაცია და რაც უფრო რადიკალურ ნაბიჯებს მოითხოვს იგი, მით უფრო მეტი მცდელობაა საჭირო მისი საწყისი ლეგიტიმაციისთვის. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ინოვაციები არღვევს და საფრთხეს უქმნის დამკვიდრებულ წესრიგს, რაც

მართლმსაჯულების ორგანიზაციებისათვის გარკვეულ საფრთხედ აღიქმება მისი კონსერვატიული ბუნებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ სოციალური ინოვაციების ხარჯიანობასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური ინოვაციის დაგეგმვის ეტაპები რისკების ანალიზს, ბაზრის შესწავლასა და პროდუქტის პროტოტიპის შექმნას მოითხოვს, წინასწარ იმის განსაზღვრა იმუშავებს თუ არა იგი, მაინც საკმაოდ ძნელია. ნებისმიერი პროგრამის დაწყება რისკებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პროგრამა სრული სიახლეა და სოციალურ მიზნებს ემსახურება, იგი სავსეა გაურკვევლობებით, მოითხოვს კონკრეტულ ექსპერიმენტებს, რაც საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული. ხარჯები კიდევ უფრო ყურადსაღები ხდება მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში მაქსიმალური აქცენტი სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ შემცირებულ ფინანსებზე კეთდება. იმისათვის, რომ შემცირდეს ხარჯები და გაიზარდოს სოციალური ინოვაციის ეფექტიანობა მართლმსაჯულების სფეროში, მნიშვნელოვანია არაკომერციულ სექტორთან თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის სერვისების ხელახალ მოდელირებას და შესაძლოა სოციალური სამართლიანობის პრაქტიკის უფრო ეფექტური მექანიზმი იყოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიდერის როლს. მართლმსაჯულების სფეროს კონსერვატიულობიდან გამომდინარე, ძნელად თუ ვიტყვით, რომ აქ ინოვაციები ფართოდაა მიღებული. შესაბამისად, სწორედ ლიდერზეა დამოკიდებული რამდენად წაახალისებს აღნიშნულ პროცესს ორგანიზაციაში, რამდენად შეუწყობს ხელს სხვებს გამოთქვან, გააზიარონ და განახორციელონ ინოვაციური იდეები.

სოციალური ინოვაცია მართლმსაჯულებაში მიზნად ისახავს საზოგადოებას მიაწოდოს მეტად ეფექტიანი და ხარისხიანი სერვისები. შესაბამისად პოლიტიკის შემქმნელები უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მას და ცდილობენ გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება და კონკრეტული ინოვაცია მოარგონ ადგილობრივ, ლოკალურ კონტექტს. მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულება

ძირითადად საჯარო სექტორთანაა გაიგივებული, ქვემოთ მდებარე ბლოგში არა მხოლოდ საჯარო სექტორის მიერ შემუშავებული, არამედ სამოქალაქო სექტორის, საზოგადოების ინიციატივით განხორციელებული სოციალური ინოვაციებიც იქნება შემოთავაზებული.

სოციალურ ინოვაციებს დიდი პოტენციალი აქვს გაზარდოს ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებასა და იურიდიულ სერვისებზე, უზრუნველყოს ხარისხიანი და ინდივიდზე მორგებული მომსახურების მიწოდება და მხარი დაუჭიროს მართლმსაჯულების სისტემების ტრანსფორმაციას. შესაბამისად, იგი შეიძლება მძლავრი იარაღი აღმოჩნდეს, როგორც სოციალური უთანასწორობის დაძლევის, ასევე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და ხელახალი დანაშაულის პრევენციის პროცესში. გვინდა სოციალური ინოვაციების განხილვა ფინეთის მაგალითით დავიწყოთ. ალბათ ამჩნევთ, როგორ გაამარტივა სერვისებზე წვდომა ტექნოლოგიებისა და ციფრული სამყაროს განვითარებამ. ინტერნეტზე წვდომა მთელი მსოფლიოს კარს გვიღებს და შეგვიძლია, როგორც სამედიცინო, ასევე საგანმანათლებლო თუ გასართობი და საინფორმაციო სერვისების მიღება. ამისთვის კი უბრალოდ ინტერნეტის ქსელთან მიერთებული გაჯეტიც კმარა. რა მოხდება თუ ამ შესაძლებლობას ციხეებშიც გამოვიყენებთ? ალბათ ციხეებში პატიმართა ყოფა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თუ მათ საშუალება მიეცემათ ონლაინ გაიარონ ისეთი კურსები, რომლებზე წვდომა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ აქვთ. საკითხი ნელ-ნელა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით სადამსჯელო ღონისძიებებიდან აქცენტი რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე კეთდება. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხვადასხვა პროფესიის დაუფლების შესაძლებლობის არსებობა კი დადებით გავლენას ახდენს ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესზე და ამცირებს ხელახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს. ამის კარგი მაგალითია ფინეთის 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც პატიმრებს საშუალება მისცა ციფრული წვდომა ჰქონოდათ სოციალურ, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სერვისებზე. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა თანასწორობის პრინციპის

შესაბამისად, იმავე საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გარანტიის უზრუნველყოლფას, რომლითაც სხვა, საპატიმროებს გარეთ მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ. მიუხედავად ამისა არსებული რესურსები საკმარისი არაა პატიმართა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. სწორედ ამიტომ შემუშავდა „ჭკვიანი ციხის კონცეფცია“. უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციის შემუშავების პროცესში ასევე შესწავლილი და გათვალისწინებული იყო სხვა ქვეყნების ჭკვიანი ციხეების სისტემები და მათი ფუნქციონირების გამოცდილება.

Smart Prison Project 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო და პირველად ჰემენლინას ქალთა ციხეში განხორციელდა. რაც შეეხება თავად კონცეფციის მიზანს, იგი ციფრული სერვისების მეშვეობით რეაბილიტაციის, რეინტეგრაციისა და განათლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად და გულისხმობს, რომ საკნებში ლეპტოპებზე წვდომა უნდა იყოს შესაძლებელი, რომლის გამოყენებაც პატიმრებს შეტყობინების ან ვიდეო ზარებისათვის შეუძლიათ, რათა დაუკავშირდნენ პერსონალს ან/და ოჯახს, მეგობრებს. ალბათ გაჩნდება კითხვა, თუ საკნიდანაც აქვთ ინტერნეტზე წვდომა და ნებისმიერ დროს შეუძლიათ ნებისმიერი რამის გაკეთება კომპიუტერის დახმარებით, მაშინ რა დანიშნულება აქვს მათ ციხეში ჯდომას? საქმე ისაა, რომ წვდომა მხოლოდ კონკრეტულ საიტებსა და სერვისებზე აქვთ. საბოლოოდ, 2021 წლის მარტისთვის 100 ცალკეული საკნიდან თითოეული აღჭურვილი იყო ლეპტოპით და მასში ჩატვირთული ჭკვიანი სისტემით. დაშვებულ სერვისებზე წვდომა შემდეგნაირად გამოიყურება: moodle, რომელიც საგანმანათლებლო მიზნით გამოიყენება, ონლაინ შოპინგის შესაძლებლობა და ის ვებსაიტები, რომლებიც მხარს უჭერენ რეაბილიტაციასა და ყოველდღიური საქმეების მართვას, რაც მოიცავს სოციალური და ჯანდაცვის სერვისებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ვებგვერდებს. ამავე დროს, მათ აქვთ ონლაინ წვდომა ელექტრონულ და აუდიო წიგნებზე და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელ საოფისე ინსტრუმენტებზე. შეიძლება ეს ერთი შეხედვით არც ისე უსაფრთხო პროგრამად მოგვეჩვენოს და რისკებს უფრო მეტს ვხედავდეთ უსაფრთხოების თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნული საკითხი მაქსიმალურად გათვალისწინებულია და ყველა საიტის მოხმარება თუ ვიდეო და

აუდიო ზარების მონიტორინგი თავად ციხის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება, რაც მაქსიმალურად ამცირებს ნეგატიურ ეფექტებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისტემის სრულად ფუნქციონირებამდე, როგორც პატიმრებმა, ასევე ციხის პერსონალმა გაიარა აღნიშნული სისტემით სარგებლობისათვის საჭირო აუცილებელი კურსები. აღნიშნული კურსების გარდა უზრუნველყოფილია სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისიც, ერთ-ერთი ასეთი იყო „ციფრული ნახტომი", რომელიც პატიმრებს ციფრული უნარების დაუფლებაში ეხმარებოდა და ააცნობდა ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს. ციფრული სერვისების განვითარების საჭიროება განსაკუთრებული სიმძაფრით კოვიდ პანდემიის დროს გამოვლინდა. ციხეში სხვადასხვა პროფესიის დაუფლება და განათლების დონის ამაღლება დადებით ზეგავლენას ახდენს სასჯელის მოხდის შემდგომ რესოციალიზაციის პროცესზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილიც დასაქმებაა.

ციხის კედლებში ონლაინ პლატფორმების გამოყენებით სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისზე წვდომა მხოლოდ ფინეთის ციხეებისთვის არაა დამახასიათებელი. ამერიკის შეერთებულ შტატებში არაკომერციული ორგანიზაცია The Last Mile დაფუძნდა, რომლის მისიაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის განათლებისა და ტექნოლოგიების სწავლების გზით პიროვნული და პროფესიული ზრდის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. პროგრამამ ფუნქციონირება პირველად სან კვენტინის ციხეში დაიწყო და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შესაქმნელად გამოიყენა კერძო-საჯარო პარტნიორობა (PPP) და სწავლების პროცესში ასევე ჩართო მოხალისეები. The Last Mile-ის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსები პატიმრებს აძლევთ საშუალებას დაეუფლონ თანამედროვე სამყაროში პოპულარულ და მოთხოვნად პროფესიებს, როგორებიცაა ვებ დეველოპმენტი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია და აუდიო და ვიდეო წარმოება. ამავე დროს, პროგრამის ფარგლებში პატიმრებს ეხმარებიან გაიუმჯობესონ რბილი უნარები - საკუთარი თავის პრეზენტაცია, სივისა და სამოტივაციო წერილის შექმნა თუ სხვა. აღნიშნული სასჯელის მოხდის შემდგომ დაეხმარება უკეთ შეძლონ სამსახურის მოძიება და საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

რეინტეგრაცია/რესოციალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი სწორედ დასაქმების სირთულეებია. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება აღნიშნული პროგრამაც. ამავე დროს შთამბეჭდავია პროგრამა გავლილი პატიმრების მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის სტატისტიკა. კერძოდ მსგავსი პრეცენდენტი არ დაფიქსირებულა. აღნიშნული შედეგი კი პროგრამის ეფექტურობას ყოველგვარ კითხვის ნიშანს აცილებს.

კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სოციალური ინოვაციის პროგრამების განხილვა განვაგრძოთ, თუმცა ამჯერად კვლავ ევროპაში უნდა გადმოვინაცვლოთ. Fine Cell Work - ასე ჰქვია წარმატებულ სოციალურ საწარმოს ბრიტანეთში, რომელიც ციხეებში ორ ათწლეულზე მეტია მუშაობს. საწარმოს გუნდი დიზაინერებთან ერთად მსურველ პატიმრებს ასწავლის სხვადასხვა ხელსაქმებს (უნდა აღინიშნოს რომ უმრავლესობა მამაკაცია). ისინი ამზადებენ ბალიშებს, საბნებს, დეკორატიულ ნივთებს და მრავალ სხვა ნივთს, რომლებიც შემდეგ ონლაინ პლატფორმის მეშვეობით იყიდება. აღნიშნული საქმიანობა კვირაში დაახლოებით 24 საათს მოიცავს და შესაბამის ანაზღაურებასაც ითვალისწინებს. დღეისათვის იგი 32 ციხეში გვხვდება და დაახლოებით 550 პატიმარს ასაქმებს წელიწადში. გარდა ამისა ციხის გარეთ შექმნილი სახელოსნო საშუალებას იძლევა სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ ყოფილმა პატიმრებმა გაიარონ სტაჟირება, რაც საბოლოოდ დასაქმებაში დაეხმარებათ მათ.

მართალია ინოვაციებისა და განვითარების პრაქტიკის შესასწავლად ალბათ უფრო ევროპისა და ჩრდილო ამერიკის კონტინენტს მივაშურებთ, თუმცა ისინი მრავლად მოიპოვება აფრიკის კონტინენტზეც, კერძოდ კენიაში. კენიას ზოგჯერ „სილიკონის სავანადაც“ მოიხსენიებენ. იგი ბოლო პერიოდში სხვადასხვა ინოვაციის მიზიდვის ეპიცენტრი გახდა. მათ შორის იურიდიულ სფეროშიც. ერთ-ერთი ასეთი სოციალური ინოვაცია არის „Dandora Transormation League“. დანდორა დაბალი შემოსავლების მქონე უბანია აღმოსავლეთ ნაირობიში. თავიდან ეს უბანი მიმდებარე ინდუსტრიულ რაიონებში მომუშავე ადამიანებისთვის საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად შეიქმნა, მაგრამ მას შემდეგ რაც მრავალი ინდუსტრია დაიშალა

და უმუშევრობის დონემ იმატა, იგი ერთ-ერთ კრიმინალურ დასახლებად და კენიის ყველაზე დიდ ნაგავსაყრელად იქცა. უმუშევრობის გამო ძალიან მაღალია ახალგაზრდებში კრიმინალის დონე, რამაც რაიონში უსაფრთხოების დაცვის მიზნით პოლიციის გადაჭარბებული რაოდენობა გამოიწვია. ხშირი იყო მკვლელობა, ყაჩაღობა და ძარცვა. 2014 წელს აქტივისტების მიერ შეიქმნა Dandora Transformation League, რომელმაც რაიონში დაიწყო რეკრეაციული ზონების დასუფთავება და მოპირკეთება. სხვადასხვა ფონდის და ორგანიზაციის მიერ დაფინანსების მიღების შემდგომ, იგი გახდა ე.წ. ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც 80 ახალგაზრდულ ჯგუფს აერთიანებს და ახალისებს ახალგაზრდულ ჯგუფებს მაქსიმალურად გამოავლინონ და აითვისონ კონკრეტული სივრცეების, პარკების, მიტოვებული სახლებისა თუ სხვა ტიპის შენობების პოტენციალი და მიიღონ მათგან შემოსავალი, რაც ახალგაზრდებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. აღნიშნულმა დიდი ცვლილებები გამოიწვია დანდორაში, რაც გამოიხატა დანაშაულის შემცირებასა და ბიზნესის გაზრდაში. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მოსახლეობა მეტ დროს ატარებს რეკრეაციულ სივრცეებში, რაც უბანში უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნების გაზრდას ადასტურებს. 2016 წლის მონაცემებით პროგრამის ფარგლებში დანაშაულის რაოდენობა 70%-ით შემცირდა, შეიქმნა ასზე მეტი სამუშაო ადგილი ახალგაზრდებისთვის და გასუფთავდა 139 საზოგადოებრივ სივრცეზე მეტი.

იურიდიულ სფეროში არსებული კიდევ ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სოციალური ინოვაციაა Kituo, რომელიც 1973 წელს ექვსმა ახალგაზრდა იურისტმა დააარსა ნაირობიში. იდეა წარმოიშვა, მაშინ როდესაც კენიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საკანონმდებლო სისტემა შეიცვალა და მოსახლეობას არ ჰქონდა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ამ სისტემასთან ურთიერთობისა და საკუთარი უფლებების დაცვის. მართალია თავიდან Kituo მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით დაარსდა, თუმცა დროსთან ერთად მასშტაბები და მომსახურების ტიპებიც გაფართოვდა. იგი გვთავაზობს სამ ძირითად პროგრამას: 1- იურიდიული დახმარება და განათლება (LEAP) - იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ღარიბ და მარგინალიზებულ ადამიანებს. 2- ადვოკატირება,

მმართველობა და სათემო პარტნიორობა (AGCP) - მისი მიზანია ღარიბ და მარგინალიებულ თემებს მისცეს საშუალება ისარგებლონ საკუთარი კანონიერი უფლებებით, რასაც საზოგადოების მობილიზების, ლობირების, ადვოკატირებისა და პოლიტიკის მონიტორინგის გზით ახორციელებს. 3- იძულებითი მიგრაცია (FMP) - იგი კენიის ქალაქებში მცხოვრები ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლებისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანების სამართლებრივი და პოლიტიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის მიცემას ემსახურება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მომსახურების გამარტივებისა და დროის მოგების მიზნით Kituo-მ ციფრული სამყაროც აითვისა. კერძოდ, 2016 წელს შექმნა M-Haki, მობილური აპლიკაცია, რომელიც მოსახლეობას იურიდიულ ინფორმაციას აწვდის. SMS შეტყობინების გაგზავნით საზოგადოებას შეუძლია პერსონალიზებული იურიდიული რჩევა მიიღონ ან დაუკავშირდნენ Kituo-ს ადვოკატებს. დისტანციური სერვისის არსებობა იურიდიულ ხარჯებს ამცირებს და ზრდის მასზე წვდომას მარგინალიზებული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის. თან თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იურიდიული მომსახურება ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მომსახურებაა. პროგრამის შედეგები თვალისმომჭრელია და მხოლოდ 2017 წლის მონაცემებით 7460 ადამიანს გაუწია კონსულტაცია, ამავე დროს 5543-მა ადამიანმა Kituo-ს სათემო მართლმსაჯულების ცენტრში მიიღო დახმარება, M-Haki სერვისით კი 2510 საკითხი გადაიჭრა. ეს ციფრები მხოლოდ 2017 წლის მაჩვენებლებია, თუმცა ფაქტია, რომ პროგრამა დიდი პოპულარობით სარგებლობს კენიის მოსახლეობაში და ეფექტიანადაც ფუნქციონირებს.

ერთი შეხედვით შეიძლება სოციალური ინოვაციები და იურიდიული სფერო, განსაკუთრებით კი სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ერთმანეთთან შეუთავსებელი ჩანდეს. ამას მართლმსაჯულების კონსერვატული, ხოლო სოციალური ინოვაციების ნოვატორული ბუნება განაპირობებს. რეალურად კი იგი უბრალოდ პროცესს ართულებს და სინამდვილეში, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, სოციალური ინოვაციები იურიდიულ სფეროში მრავალი

სახით შეიძლება განხორციელდეს. მთავარი კი აქტორთა სურვილი, მონდომება და ცოდნაა. მაგალითები ასევე ცხადყოფს, რომ დიდი ყურადღება ექცევა პატიმართა განათლებისა და პროფესიული უნარების გაძლიერებას, რაც მათ სასჯელის მოხდის შემდგომ მნიშვნელოვნად ეხმარებათ რესოციალიზაციაში. სოციალური ინოვაციები ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ეფექტიანი მექანიზმია პატიმართა რეაბილიტაციია და ხელახალი დანაშაულის ჩადენის შემცირების მიმართულებით. გარდა ამისა სოციალური ინოვაცია ასევე ეფექტურად მუშაობს მოსახლეობისათვის იურიდიული სერვისების მიწოდებისთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მისი გაციფრულება ხდება. დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური ინოვაციები ისეთ სფეროებშიც კი საკმაოდ ეფექტიანია, რომლებთანაც მათი დაკავშირება საკმაოდ რთულად წარმოსადგენია.